# ერი

№ 27

წელიწადი პირველი

1913

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 4 დეკემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И“ Ивановская, д. Чиладзе.

ყოველდღიური გაზეთი

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


„რადიუმი“

4 დეკემბერს.

გამართება საქველმოქმედო სეანსები ახალი პროგრამით წმ. ნინოს სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება

კლიტე ბედნიერებისა

12 ნაწილათ ითხრობა ვერბიცკისა.

АНОНС. надняхъ будет. демонст. Монопольная картина

Ключи Счастья

по ром. В. Вербицкой инсценированному самим автором.



დრაპი ბიბერი ტრიკო მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაკოზოვი

და ზ. გ. ოზანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი მოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი

საზამთრო

საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება

იაფათ

ნაჭრები.

ველვეტური გენუია იდეალი ფლორი.



## ქალაქის თეატრი.

შაბათს, 7 დეკემბერს ქალაქის თეატრში თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი ბ-ნი სარგის კაკაბაძე წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას თემაზე:

ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორიის შესახებ.

ლექციის შემოსავალი გადადებულია „ვეფხისტყაოსნის გამოსაცემათ. ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე



## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით

თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. აშინდი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დასტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—სავებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.



## დიდი იაფი ვაჭრობა.

მოსკოვის საფართლო მაღაზიაში

(ფრანცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

18 ნოემბრიდან გაიხსნება

დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.



## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა ბოლოების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ყლორული“ ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოგიელის სახლში ვ. ტიეგო.



გამოვიდა გასასყიდლათ ნოტებზე გადაღებული ლექსი:

„ზმნაცვალე“

ი. გრიშაშვილის და ი. სარაჯიშვილის სურათებით.

ფასი ხუთი შაური.



ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.



## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.



ექიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ექიმი ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

ექიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

ექიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.


## ერთხელ კიდევ...

ფულის გარდა ადამიანს სხვა რამეც უნდა ქონდეს: სინიდისი, პატიოსნება. მართალია ქრისტემ უარყო ტალანტის მიწაში ჩაფვლა და აღიარა მისი დამუშავება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ტალანტსა მას ადამიანის ენერგიასთან ერთად მისი წმიდათა-წმიდა, მისი ზნეობა და ღირსებაც შეწირვოდა. დარწმუნებული ვართ ისეთი გაიძვერისა და მლიქვნელი ხალხის ხელში, როგორიც სოლოლაკის პლუტოკრატიაა, ნაზარეველი ტალანტის ყოველგვარ დანიშნულებას უარყოფდა და აღიარებდა, რომ უკეთესია ტალანტი იგი მიწაში განისვენებდეს და იფანგებოდეს, ვიდრე იგი მეზობელთა თვითარსებობისა—მისი წმიდათა-წმიდის და მისი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ იყოს მიმართული. ჩვენ გვწამს, რომ ოქროს ძმა-ამხანაგ-მეგობარი ბევრათ არაფრათაც ეპიტნავება, მაგრამ გარეგნულ ზდილობას მაინც არ უნდა აკარგვიებდეს იმას, ვის ხელშიც იგი ბრჭყვიალებს; ვიცით ისიც, რომ სოლოლაკურმა ყაირათმა და ანგარიშმა, სომხის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა სულსა და გულში, მათ არსებაში ჩვენდამი ზიზღი, შური და მტრობა დაბადა, მაგრამ ყოველივე ამას ცხადათა და გარკვეულათ არავინ აჩენდა ღღემდი, დღეს კი ოქრომ სულის გამყიდველს საზოგადო, სავალდებულო ეთიკაც გააყიდვია და ნაცვლათ ამისა თავხედობა შეეძინა მათ. არათუ ჩვენთვის, თვით გარეშე, უცხოთათვისაც კი მათი ჩვენდამი მტრული ლტოლვა-მიდრეკილება საიდუმლოებას აღარ შეადგენს, და ვინც მხოლოდ ერთჯერ გავლით ყოფილა ჩვენში, იგიც კი აქიდან წასვლისთანავე ამ თავხედობის შესახებ იწყებს ბაასს და მერე რა სახით, რა ფარგლებში? მაგალითად, როდესაც დეპუტატი კერენსკი ამას წინათ კავკასიაში მოგზაურობას შემდეგ პეტერბურგს დაბრუნდა, მან საინტერვიოთ მისულ გაზეთის თანამშრომელს პირდაპირ გაუცხადა: კავკასიის ერთა შორის, და განსაკუთრებით სომეხთა და ქართველთა შორის, ეროვნული ანტაგონიზმი არსებობს, ეროვნული შუღლი ვითარდება და ფეხს იკიდებსო. ამას წინათ გაზეთ „დენში“ გორინის წერილი იყო მოთავსებული, სადაც პატივცემული ავტორი გადაჭრით ამბობდა—სომხებისა და ქართველების ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებას ეროვნული სუნი უდისო. რაში გაემტყუნება კერენსკისა გინდ გორინს, რომ ჩვენზე ასეთი აზრისანი იყონ, მათ შეიძლება მხოლოდ ერთჯერ გაიარეს ჩვენს მიწა-წყალზე, შენიშნეს რაღაც, მაგრამ მის სიღრმესა და შინაარსს არ ჩაკვირვებიან, ამიტომაც გაიძვერა სოლოლაკელ პლუტოკრატთა ოინები ეროვნული შუღლის მანტიით შემოსეს, სთქვეს ის, რასაც ზერელეთ თვალი მოავლეს, და ამ შემთხვევაში გასამტყუნარი კერენსკი-გორინი კი არაა, თვით ისაა, ვინც საბაბს აძლევს მათ ასე იმსჯელონ და ასეთი აზრისანი იყონ. მერე ვინ არის ეს ტურფა დედოფალი, ვის ეკუთნის ის „ნაზი ღიმილი“ რომელმაც გარეშეთა ყურადღება მიიქცია?

პირველყოვლისა თვით თავისსავე ერის მცარცველთა და მგლეჯელთ სოლოლაკელ პლუტოკრატებს, რომელნიც სცდილობენ თავისი ქვენაგრძნობები საერთო, სომხის ერის, სომხის მშრომელი ხალხისა და დემოკრატიის გულუბრყვილო და გულწრფელ სახელში გამოახვიონ და კაპიტალის მეოხებით შექმნილი კაპიტალური პროვოკაცია ეროვნულ მოედანზე გამოიყვანონ საჭიდაოთ. შემდეგ მათ ხელს უწყობს სომხური პრესის ის ნაწილი, რომელიც თავისი უკბილო, ორპოფული პოლიტიკით სცდილობს დაგვწიხლოს. მათი განზრახვანი უკვე აშკარაა, მათი პოლიტიკა ცხადია, მათი დიპლომატიური ღმეჭა თვალსაჩინოა. ერთხელ კიდევ იძულებული ვხდებით „ორიზონს“ დავუბრუნდეთ: მაგალითად რა ქონდა მას აზრათ, რას ელტვოდა იგი, რა სურდა, როცა ამბობდა:— „ჩვენი მხარე უცხოთა, გარეშეთა ძეგლებით“ არის ალსავსე, და ამავე დროს რა იქნებოდა, რომ აბოვიანისთვის ერევანში და შოთა რუსთველისთვის ქუთაისში აგვეგო ძეგლიო?“ პირველყოვლისა იგი ფითომდა ჩვენს მოსარჩლეთ გამოდის, ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას იცავს, როცა ამბობს ჩვენი მხარე უცხოელთა ძეგლებით არის სავსეო“, გვასიამოვნა ვითომ იმითიც, რომ ჩვენი სიამაყე ძეგლის ღირსათ ჩასთვალა, და ბოლოს სოლოლაკური ფანდები გამოურია, ე. ი. განაცხადა, კი მართალია შოთა ღირსია ძეგლისა, მაგრამ ქუთაისში და ამ უკანასკნელს ხაზი გაუსვა, რა არის და ჩვენ გვეგრძნო, რომ თფილისი უკვე ქართველთა დედა ქალაქი აღარაა, თვარა რასაკვირველია ქართული მწერლობის დედაბოძს მშობელ დედა ქალაქში უნდა ქონოდა ძეგლი. ამგვარათ ამ ბატონებმა თავისს მომაკვდინელ ტენდენციებს საჯიროთოდ ფართო ეროვნული მოედანი მისცეს, თვისი ბოროტი მისწრაფებანი ეროვნულ სამოსელში გახვიეს,

„ორიზონებმა“ და სოლოლაკელმა პლუტოკრატებმა სომხის ერით „არამკითხე“ გადიობა იკისრეს და რა საკვირველია, თუ ერთი შეხედვით კერენსკი-გორინსაც საქმე ამ სახით მოეჩვენათ. ამ შემთხვევაში გასამტყუნარი „ორიზონ“—სოლოლაკელები არიან და მათ მომავალში პასუხს მოსთხოვს არა მარტო ქართველი ერი, მათგან ანგარიშის ჩაბარებას მოითხოვს სომხის ერიც, რომელთა სახელითაც გაიძვერანი თავხედათ სარგებლობენ. მათ „საპოლიტეხნიკუმო ბრძოლის“ ღირებულობასაც ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად სომხის დემოკრატიაც გაარკვევს მომავალში. **იმერი.**

# ახალი ამბავი.

მოგვყავს დაწვრილებით ცნობები გუშინწინ მომხდარი უბედურობის შესახებ.

ქუთაისში მცხოვრებს დარისპან გაჩეჩილაძეს არაყის გამოსახდელათ ქვევრი მოუგროვებია და ჩაუყრია ცემენტით ამოკირულს დიდს ორმოში. ქვევრს დუღილი დაუწყია და ორმო ავსებულა ნახშირბადის გაზით. გაჩეჩილაძის ოჯახობას მოსამსახურე ლეჩხუმელი ბიჭისთვის უთქვამს:—ორმოში ძმარი იქნება მოგროვებული და ამოიტანეო. ბიჭს ორმოში კიბე ჩაუდგამს და ჩასულა, მაგრამ საწამლავი გაზით გაგუდულა და წაქცეულა. ცოტა ხანს შემდეგ ბიჭს გაჩეჩილაძის ერთადერთი ვაჟი ნიკოლოზი გაყოლია. ისიც ჩასულა კიბით ორმოში და შემდეგ არ ამოსულა. ქალებს ყვირილი მოურთავთ: ხმაურობაზე გზაზე გამვლელი სიმონ კაზანჯიევი მისულა, ჩაუხედია ორმოში და შეუხედავს, რომ ორი კაცი ფართხალობს. უცებ ჩამხტარა იმათ ამოსაყვანათ, მაგრამ ისიც წაქცეულა. ბოლოს მისულა გორის პოლკის ჯარისკაცი, ჩასულა ორმოში და ისიც უცბათ წაქცეულა. საზარელს სურათს წარმოადგენდა ეს უბედურობის ორმო: ერთნახევარი საჟენის სიმაღლეზე მწარე გაჭირვებაში სულს ლევდა ოთხი კაცი; საცოდავათ ფართხალობდენ უბედურები; ამავე დროს იქვე რამდენიმე კაცი იდგა და შველა ვერ მოეხერხებიათ. ბოლოს მოვიდენ ექიმები: სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ბულგაკოვი, გრ. ქორქაშვილი, გრ. ალშიბაია, ფემინი, გოკიელი და რელიგიონი, ცეცხლისმქრობელ რაზმს ორმოს თავი ჩაატეხინეს, მილებით ამოსწმინდეს საწამლავი გაზი და ბაწრებით ამოიყვანეს გაგუდულები. ჯერ გაჩეჩილაძის ბინაზე აღმოუჩინეს პირველი დახმარება, შემდეგ ბ-ნმა ბულგაკოვმა ისინი საავადმყოფოში გადაიყვანა; ექიმებმა მჟავბადითა და ელექტრონით დახმარება აღმოუჩინეს, ღამის ათ საათამდი თავს ეხვიენ, მაგრამ შველა არ იქნა: ღამის **11** საათზე ოთხივე მიიცვალა.

✦ **2** დეკემბერს, ქალაქის საბჭომ დაადგინა: სხვა მუნიციპალურ საქმეებთან ერთად მოაწყოს ქალაქის კანალიზაცია. ამის გამო სესხი გაადიდეს **3,062,200** მანეთამდი. დაადგინეს ისიც, რომ ბალახვანის ქუჩაზეც იქნეს გაყვანილი ტრამვაი.

✦ ჩვენის სახელოვანის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის გადაცვალებიდან ოცი წლის თავზე ამ თვის ათს სოფლის სტეფანწმინდის ინტელიგენციის თაოსნობით ლვდელი გუდუშაური მწერლის სასაფლაოზე გადაიხდის წირვასა და პანაშვიდს. საღამოს ადგილობრივი სცენისმოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილ იქნება—„არსენა ყაჩაღი“.

✦ ზუგდიდის მაზრის სოფელ ზენში თავად ჩიქოვანს **400** დესეტინა მიწა მიუყიდიათ რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის. ეს უკანასკნელნი შესდგომიან მეურნეობას გაუმჯობესებული საშვალებით, გამოუწერიათ ორთქლის გუთანი და სხ., მაგრამ, როგორც სარწმუნო პირებმა გადმოგვცეს გადმოსახლებულთ მოლოდინი არ გამართლებიათ და ახლა კვლავ აპირებენ ამ ადგილების გაყიდვას.

✦ სამეგრელოს მთავრის ერთ-ერთი შთამომავლის ანდრია დადიანის მამულზე დასახლებულნი გერმანელი კოლონისტებიც აპირებენ თურმე თავისი მამულის გაყიდვას, რადგან, როგორც თვით ამ ადგილების ერთმა მესაკუთრეთაგანმა გადმო გვცა, გერმანელები ვერ შეგუებიან ადგილობრივ პირობებს და მეურნეობაც ვერ დაუყენებიათ იმ სახით, რა სახითაც მათ განზრახული ქონდათ, როდესაც ამ მამულს იძენდენ.

✦ შავიზღვის სანაპირო რკინის გზის მუშაობა უკვე დაიწყო.

✦ შაბათს, **30** ნოემბერს და კვირას, **1** დეკემბერს, ახალსენაკსა და ზუგდიდში გაიმართა გიორგი საკაძის ლიტერატურული გასამართლება.

✦ ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კვეტაშვილი ამავე თანამდებობაზე რაჭის მაზრაში გადაუყვანიათ. ადგილობრივ საზოგადოებას გულმხურვალეთ გაუსტუმრებია იგი.

✦ ზუგდიდის მაზრის უფროსის თანაშემწეთ კვეტაშვილის ნაცვლათ ნიშნავენ ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნს ს. ჩიქოვანს.

✦ თავადს მინგრელსკის ლეჩხუმელი გლეხები დაუიმედებია, რომ ადგილი, რომლის დათმობასაც გლეხები თხოულობდენ, ეცდება, მათ გადაეცეს.

✦ მინგრელსკის მოურავის ვლ. ალშიბაიასი და ვ. ჯაფარიძის საქმე, რომელთაც გლეხი კანეიას მოკვლა ბრალდებათ, **1914** წლის **19** თებერვლისთვის არის დანიშნული. ბრალდებულნი, როგორც ვიცით, თავდებით არიან განთავისუფლებულნი

✦ კომისიაში ხიზანთა საკითხის კანონპროექტის განხილვის დროს მიიღეს გამოყიდვის პრინციპი. მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი სრულიად შემუშავებული გამოდგა; ზოგი ხიზანი მიიღებდა დესეტინას ერთ კაპიკათ ზოგი კი **240**—მანეთად და უფრო ძვირათაც. დეპუტატმა გელოვანმა აღნიშნა, რომ ყოვლად შეუძლებელია კეთილდღეობა ერთი ხიზნებისა აგაშენოთ მეორე ხიზანთა სრულ განადგურებაზე, ამიტომ გელოვანმა შეიტანა წინადადება, კანონპროექტი გადაეცეს მცირე კომისიას, რომელმაც პირველი თებერვლისთვის უნდა შეიმუშავოს მოხსენება გამოყიდვის ყველასთვის ერთგვარ და ორდინარულ წესის შესახებ.

# ქალაქური.

სხვადასხვა ჭირი ჩვენზედა არ ახალია... არ გვმართებს მალვა ამ ჭირისა...

ხოლო ჭირი ისაა—გაიგონებს ვინმე, შეისმენს, თუ ყრუ ძახილათ დარჩება იგი მხილება და არსით მალამო მისთვის, არვინ მკურნალი!?

თითქოს ტყე იყოს უდაბური, ტევრი გაუვალი და ლოლადი ჩვენი ველური მხეცის ბლავილი იყოს და გულქვა მონადირეთ გარდა გაალეპული ტყვიისა, სხვა არა ემეტებოდეს მისთვის...

ვითომ რათამ!?

ოცს საუკუნეს ჩვენს თავზე კი არ გადაუვლია განა, არ გვიცხოვრია, არ ვარსებობდით და წვლილი ჩვენი მეოცე საუკუნის საკურთხევლის კარცხლბეკზე ზვარაკათ არ მიგვიტანია?..

იქნებ „პატარა“ იყო იგი ზვარაკი? მაგრამ „პატარა“ ვართ ჩვენც!

ჩავაგდოთ, ვიანგარიშოთ, მოვახდინოთ შედარება და უკეთუ ჩვენზე დიდების ძლევენს ჩვენმა პატარამ არ გადააჭარბოს—დავდუმდებით, დავდუნდებით.

შეუდარებლათ, უანგარიშოთ კი, ძახილს არ შევწყვეტთ:—

სამართალი, სამართალი!! **დ.**

# დღიური.

— ცნობაა—სერბიასა და რუმინიას შორის ავსტრიის წინაამდეგ სამხედრო კონვენცია დაიდვაო.

— პორტასა და სომეხთა წარმომადგენლების შორის სომხეთში რეფორმების განხორციელების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო.

— ამერიკაში ბრეშკო—ბრეშკოვსკის ქალის გათავისუფლების შესახებ რუსეთის მიმართ გასაგზავნ პეტიციას ხელს აწერენ.

— ადესაში იაპონელ ტამიოკს ჯაშუშობა დასწამეს და დააპატიმრეს

— გაზეთი „კიევლიანინი“ მოითხოვს—იუშჩინსკის მკვლელთა ძებნა [illegible]ლონ.

— კასომ [illegible] სადაცსტუდენტებს ფორმის ტანისამოსის ჩაცმას სავალდებულოთ უხდის.

— ბულგარეთში მეფის წინაამდეგ მოძრაობა ძლიერდება.

— ეპირელთა წინაამდეგ ბრძოლაში ალბანელებს ავსტრია და იტალია ეხმარება.

— სტუდენტთა გაფიცვის გამო პრუსიის სახალხო განათლების მინისტრი სამსახურიდან გადადგა.

# ტაძარი თუ ეროვნული ფონდი.

ეს ერთი ხანია ქართველ საზოგადოებაში დაიბადა აზრი—თამარ მეფის იუბილეს დღესასწაულისა და მის აღსანიშნავათ ტაძრის აგებისა. ფრიად სასურველი და თითქმის აუცილებელი არის ამ აზრის დადებითად გადაწყვეტა, მაგრამ საქმე ისაა, რომ შესაფერისია თუ არა დროისა და ვითარების მიხედვით თამარის იუბილე ტაძრის აშენებით აღინიშნოს? ჩემი ღრმა რწმენით—არა! საქართველოს მნათობის თამარის მეფობის დროს ქართველთა მიწა-წყალი მტკიცეთ იყო დაცული მტერთაგან: კეთილი მეფე მუდამ მის ცდაში იყო, რომ მტრებს ერთი გოჯი მიწისაც არ ჩამოეგლიჯა საქართველოზე. ამიტომაც საქართველოს საზღვრები ერთი ორათ გაფართოვდა მის მეფობაში. ყოველი ქართველი განურჩევლათ წოდებისა ბუნებრივათ გამსჭვალული იყო მამულის სიყვარულით, მის შესანარჩუნებლათ მზათ იყო სიცოცხლე შეეწირა. დღეს კი ჩვენი მამა-პაპათა სისხლით მორწყული და განოყიერებული სამშობლოს ტერიტორია ნელნელა ხელიდან გვეცლება, და ჩვენ გულზე ხელდაკრებილი შევსცქერით ამ მოვლენას იმ დროს, როდესაც ქართველი მშრომელი ხალხი, გლეხობა უმიწობით ილაჯგაწყვეტილი თითქმის ყოველწელს შიმშილობას განიცდის. ამ დროს არა ტაძრის აშენება, არამედ უფრო შესაფერი იქნება „ეროვნული ფონდის“ დაარსება თამარის ხსოვნის აღსანიშნავათ. დროა, სიტყვა საქმეთ ვაქციოთ და გულმოდგინეთ შევუდგეთ ჩვენი სამშობლო მიწა-წყლის მთლიანობის დაცვას. ეროვნული ფონდის მიზანი იქნება შესყიდვა იმ მამულებისა, რომლის გაყიდვასაც ქართველი მემამულე დააპირებს. ამ რიგათ, დარწმუნებული ვარ მიზანს მივაღწევთ. ვიმეორებ თამარ მეფის სახელობაზე „ეროვნული ფონდის“ დაარსება იქნება საუკეთესო დღესასწაული ამ დიდებული პიროვნების სახსოვრათ.

**იერემ-პეგი.**

# როლში მყოფ მაჯლაჯუნებს.

ტვინისა და საქმის მასალაზე რო მწყრალათაა კაცი, იმას რო სიტყვის მასალა მაინც არ გააჩნდეს, სულ ერთიანად დაღუპული იქნებოდა მისი საქმე... ხოლო, ის სხვა საკითხია—ბარაქის ნატამალი აქვს თუ არა ამ სიტყვის მასალას. ბარაქიანი სიტყვის თქმის უნარი, მარტო მხოლოდ თქმისა, კიდევ მოეძევება და სიტყვას აბარაქებს მხოლოდ მაგარ-მაგარი კილოთი, რო თავის სიდუხჭირე, მაჯლაჯუნობა დაფაროს, რიხიანათ იტყვის, წამოისვრის ქუჩურ აზრებს და მერე გაიბერება, სწამს, რომ სიმართლე დი სინათლე სთქვა... ვერ მიმხვდარა, რა თვალში ნათელი აკლია, მის ნათქვამს —სისწორე...

იჭორეთ, იჭორეთ, მაჯლაჯუნებო! გულზე მოგხვდათ, რო თქვენს თანამოძმე სომხის პლუტოკრატ-შოვინისტებს გუნდბრუკი არ ვუკმიეთ.

# სიცოცხლის ღირებულობა.

**პროფ. დ. ნ. ოვსიანიკოვ-კულიკოვსკის ლექცია.**

**(წერილი ხარკოვიდან.)**

ხარკოვის ყოფილი პროფესორის, ახლა-კი აკადემიის საპატიო წევრის დ. ნ. ოვსიანიკოვ-კულიკოვის ლექციამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. მისი ლექცია დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

კლებულობს თუ მატულობს ცხოვრების ფასი, სიცოცხლის ღირებულობა?

შას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრება გართულდა და გამრავლკეცდა, წმინდა იდეები და სათუთი გრძნობები ათასგვარ ზღუდეს დაეჯახა,—ქვეყნიერებამ თითქოს დაკარგა კრიტერიუმი ამ კითხვის საპასუხოთ.

ის, რაც უწინ დაცვასა და გამორკვევას არ საჭიროებდა, რაც სავსებით გამოიხატებოდა საუცხოო და მომხიბვლელი სიტყვებით—ყოფნის მხიარულობა, სიცოცხლის მშვენიერება,—ახლა ბევრისთვის საეჭვო გახდა.

ქვეყნიერება შავი ფიქრებითაა შებოჭილი... უკმაყოფილებამ, სასოწარკვეთილებამ, პესიმიზმმა თანამედროვე ადამიანთა სხეულში მჭიდრო ნიადაგი მოიპოვა, დაიმორჩილა მათი ნებისყოფა და სიკვდილის ფიქრები ძვალ-რბილში გაუჯდა...

სიკვდილს თამამათ შეუძლია იდღესასწაულოს თავისი ბრწყინვალე გამარჯვება...

ევროპიული ლიტერატურის ახალი წიგნის თითქმის ყოველი გვერდი გაჟღენთილია თვითმკვლელობის ქადაგებით.

რა არის ეს?

უშნო, ულამაზო, დამჭკნარი ყვავილები დღე-გათვლილი მოხუცებულობისა, თუ დროებითი დაცემა ენერგიისა?!

ადამიანის ჭკუა-გონება საუცხოო პლანებს ამუშავებს, სივრცესა და დროს იმორჩილებს და ჩვენ კი თვითგაქრობისკენ მივილტვით...

როგორ ავხსნათ ეს?

შეიძლება, კაცობრიობამ ბრწყინვალე სინათლიდან ბნელეთით მოცულ კუნჭულში შეაბიჯა ფეხი; შეიძლება, მან შეიგნო თვისი უმწეო მდგომარეობა და უმოქმედობის პროპოგანდას მიყო ხელი?!

შეიძლება, ადამიანმა იგრძნო თავისი სისუსტე, აგრეთვე ბრძოლის სისულელე და პირველი ციხის კედელზე ასვლისათანავე საბრძოლათ გამზადებული იარაღი დაყარა?!

პატივცემული პროფესორი სიცოცხლის ღირებულობის ცნებას სამ შემადგენელ ელემენტათ ყოფს: სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობა, მისი ობიექტური ღირებულობა და ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულობა.

სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობა—თანდაყოლილი თვისება, ბუნებრივი არსებობის სურვილია. ყოველ ადამიანს დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობით იზიდავს სიცოცხლის საუცხოო საიდუმლოება. ავათმყოფი და დავრდომილია სხეული, თუ ჯანსაღი და ძლიერი ენერგიით დაჯილდოებული; სასოწარკვეთილებითა და წყლულით შებოჭილი, თუ სიხარულითა და ბედნიერებით აფრთოვანებული,—სულ ერთია ადამიანში სცოცხლობს რაღაც მებრძოლი სული, რომელსაც სიცოცხლესთან უხილავი ძაფები აქვს გაბმული.

სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობა დაკავშირებულია უბრალო ინსტინქტებთან და ჩვენი ბუნების ეს სულიერი თვისება, როგორც თვით ინსტინქტები, შთამომავლობით გადმოსულია ჩვენს წინაპართაგან...

თვით კაცობრიობის ისტორია სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობის არსებობის უეჭველი მაჩვენებელია.

მაგრამ ხანდახან ადამიანის ცხოვრების მსვლელობაში დგება დრო აპატიისა, უნდობლობისა, სიცოცხლის უმიზნობისა... მაშინ სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობის ზღას წინ ელობება უმოქმედობა...

ასეთი კრიზისი ადამიანის ცხოვრებაში ბევრია, მაგრამ აუცილებელი და საყურადღებო ორი: სქესობრივი დამწიფებისა და კლიმაკტერიის (მოხუცებულობის) პერიოდი.

პირველ შემთხვევაში ორგანიზმის აწეულ მოთხოვნილებასთან, ამაყი გულის ოპოზიციასთან გვაქვს საქმე.

ყმაწვილი მოქმედების ცეცხლითაა ანთებული, სიყვარულის მოთხოვნილების ალშია გახვეული... იგი გიჟური ენერგიის ძალით, აჩქარებული, საშინელი სისწრაფით მიექანება და კიდეც ასკდება ცხოვრების უზარმაზარ კლდეებს და დაღლილ-დაქანცული, სასომიხდილი, ფრთეშეკვეცილი, ფერმკრთალი ძირს ეცემა... მან იგრძნო ბრძოლის სიძნელე და თავისი უძლურობით დაშინებულმა სრულიად გააქარწყლა საკუთარი მნიშვნელობა ცხოვრებაში. მეომარი სული, რომელიც ბრძოლისკენ და გამარჯვების ბედნიერებისკენ იწვევდა, მას მატყუარა ილიუზიათ მოეჩვენა...

და ჯერ კიდევ ცხოვრებასთან გაუცნობელი ყმაწვილი, თითქმის ბრძოლის ველზე გაუსვლელათ იარაღსა ყრის და თავს ძლეულათ, დამსხვრეულათ, დასახიჩრებულათ აღიარებს...

მას ქვეყნიერების დიდი საკითხები აღარ იზიდავს, გამარჯვების ოცნება არ აფრთოვანებს... სიცოცხლის ღირებულობას ფასი ეკარგება.

აქიდან ახალგაზდობის არსებაში პესიმიზმი სასურველ ნიადაგს პოულობს და ყმაწვილი მძიმეთ სუნთქავს, მოღუშული, წარბშეკრული უყურებს მოკამკამე ცას, ბრწყინვალე მზეს, ბადრ მთვარესა და სრულიად უბრალო მიზეზის გამო ისპობს სიცოცხლეს...

მაგრამ, საბედნიეროთ. ახალგაზდობის პესიმიზმი ღრმა ხაზსა და ხანგრძლივობის ბეჭედს არ აკრავს ადამიანის არსებას.

ყმაწვილი აშფოთებული, შეწუხებული ცხოვრების უკულტურობით, მწარე ფიქრთა ღრუბელში გახვეული დილით მსოფლიოს სწყევლის, სამყაროს განადგურებას უქადის, საღამოთი კი მთრთოლვარე მკერდზე მიკრული სატრფოს ალერსით დამთვრალი, მისი ღვთიური ცეცხლით მოჯადოებული, სიცოცხლის მშვენიერ ყვავილთა სურნელებით დამტკბარი, ბუნების საუცხოო სურათებით გატაცებული—აქებს ქვეყნიერებას წარმოუდგენელი ენტუზიაზმით... მოხუცებულობის დასაწყისში (50—60 წ.) სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობის დაცემა უმეტეს შემთხვევაში შეუმჩნევლათ, როგორღაც თავისთავათ ხდება. თუმცა აქაც ძალ-ღონის მოკლება, ენერგიის დაცემა, ჟამთა მსვლელობის გავლენით ადამიანის გადახრა-გადატეხა იწვევს მასში სასოწარკვეთილების შავ ფიქრებს და სულიერ სიშფოთეს.

ტურგენევის „კმარა“ და ტოლსტოის „აღსარება“ პატივცემულ ლექტორს უმთავრესათ სიცოცხლის ღირებულობის დროებით დაცემის შედეგათ მიაჩნია.

მაგრამ ის, რაც ნორმალური ადამიანისთვის ზედაპირული და წარმავალია, სხვებისთვის მუდმივობისა და ღრმა მნიშვნელობის ხასიათს ღებულობს. ხშირათ ვხვდებით ადამიანთა სულიერი ორგანიზაციის ისეთ სტრუქტურას, სადაც დაცემის მდგომარეობა ბუნებრივი და ჩვეულებრივია.

ხშირათ ისინი დაჯილდოებული არიან მაღალი ჭკუით და ღრმა ნიჭით, საუცხოო გამოვნებითა და ცეცხლოვანი ოცნებით, მაგრამ მასთან ერთად დასუსტებულან შემოქმედების ძალით, ზარმაცი და მკვნესარე გული აქვთ... ასეთი თანდაყოლილი პესიმიზმით შებოჭილნი სიცოცხლეს სრულიად არ აფასებენ, არაოდეს არ ცდილობენ მიზნის მიწევას, არაოდეს არ იბძვიან და არ მიილტვიან გამარჯვებისკენ. ასეთ ადამიანთა რაოდენობა თვალსაჩინოა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემის შესუსტებისა, ან სრული დაცემის დროს, თუმცა ისინი იმყოფებიან ყოველ დროსა და ყოველ ხალხში, როგორც თვით ბუნებით შექმნილნი ბიოლოგიური პიროვნებანი.

პატივცემული ლექტორი მათ ყოფს შემდეგ კატეგორიებათ: **მელანქოლიკები**—რომელნიც ფიზიოლოგიური არა ნორმალობის გავლენით ყველაფერს დაჯავრიანებული გულით, შეწუხებული სულით, უიმედობისა და უნდობლობის თვალით უცქერიან; ასეთია ლერმონტოვი და გმირი მისი პეჩორინი.

შემდეგ **დაღლილ-დაქანცულნი**, რომელთა წარმომადგენელნიც ჩვენი ევგენი ონეგინია;

**მეტათ მაძღარნი** ცხოვრებით, როგორიც არის ფაუსტი;

**სულიერათ განმარტოებულნი**, როგორიც არის შოპენჰაუერი და **ფსიხოლოგიური ასკეტები**, რომელნიც უარს ამბობენ ცხოვრებისა და ბუნების ბევრნაირი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

ამ ადამიანთა გამონაკლისით პიროვნებათა სულიერი მოთხოვნილება ახალ-ახალ გამამხნევებელ ძალთა შექმნით, მედგარი ბრძოლითა და სანატრელი წინსვლით გამოიხატება. და ფალსტაფიდან (უდაბლესი ტიპი) დაწყებული ჰამლეტამდი, ან თუნდა პუშკინამდი ყველა გრძნობს თავისი გულის სიღრმეში სიცოცხლისადმი განუსაზღვრელ სიყვარულს მასთან სასიამოვნო, მაგრამ საიდუმლო კავშირს...

დროებითი ხელის შემშლელ პირობებს არ შეუძლია შესცვალოს ადამიანის ბუნე-

მართლა, ხელი აიღეთ, ხელი აიღეთ ამ ქართველ ერზე. ვინ გამოგიწვიათ და მართლაც საიდან სადაო..?!

გელოვანს ვინ, როდის ჩააბარა ქვეყნის დამოუკიდებლობა", რომ იგი გაეყიდა? ამ „დამოუკიდებლობის" მოპოებას კი ვინც უწევს ღალატსა და ვინც ორგულობს ერსა და ქვეყანას, ვიცით, თქვენც იცით და სდუმდით. ხმა გაკმიდეთ!.

ლ.

## ფოთის მუშების წერილი

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩვენს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში.

გაზეთი „მერცხლის" 30 ნოემბრის ნუმერში მოთავსებული იყო საკუთარი კორესპონდენტისაგან ფოთიდან გაგზავნილი დეპეში დიდი ასოებით დაწერილი ჩვენს წინააღმდეგ, ვითომც ჩვენ შტრეიკბეხერი, ქურდი და ამხანაგების მყვლეფელნი ყოფილი მუშები ზურგს ვუმაგრებთ მოიჯარადრე ა. ქლენტსა და მელაძეს და გვსურს „რუსიის საზოგადოების" გაფიცული მუშების ადგილი დავიკავოთ და გაფიცვა გავტეხოთ. კარგათ მოგეხსენებათ ბ. ბ. „რუსიის საზოგადოების" მუშებო, რომ თქვენსა და ჩვენს და ჩვენს ამხანაგებ შორის სუფევს განხეთქილება და უთანხმოება ეს სამი-ოთხი წელიწადია. ისიც მოგეხსენებათ, რომ არა ერთხელ მოგვიმართავს თქვენთვის, ჩვენ შორის უთანხმოების მიზეზები სამედიატორო სამართლით გამოგვერკვია, მაგრამ თქვენ მუდამ გაურბოდით და ახლაც, როდესაც 1 დეკემბერს ჩვენს საქმეში ჩაერიენ ადგილობრივი სხვა დარგის მუშებიც და წინადადება მოგვცეს გამოგვყოლოდით სამედიატორო სამართალში და ჩვენის მხრით კიდეც წამოგიყენეთ მედიატორები, თქვენ მაინც გაექეცით ამ სამართალს. ამიტომ გაზეთის საშუალებით გაძლევთ წინადადებას დაუყონებლივ გამომყვეთ სამედიატორო სამართალში იმ პირობით, რომ გადაწყვეტილება იქნეს გაზეთში გამოცხადებული. ამგვარი სასამართლო ხალხს დაანახებს, მართლა ჩვენ ვართ ხალხის მყვლეფელნი, ქურდი და შტრეიკბეხერი (ასეთი ტერმინებით ნათლავთ თქვენ თქვენს მოწინააღმდეგეთ ყოველთვის), თუ ასეთი თქვენ ბძანდებით, პატიოსანო კრავებო ვადას გაძლევთ ამ წერილის დაბეჭდვას შემდეგ ორი დღისას. მედიატორებათ ვასახელებთ ჩვენის მხრით: ე. გეგეჭკორსა და ნ. ჩხენკელს.

მუშები:
ეზეკია კვინცრიძე,
ლავრენტი მელაძე,
არსენა ბარაბაძე,
სილიბისტრო ეფრემიძე.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი მოსკოვიდან დაბრუნდა.

სამთო ინჟინერი ეაკი კავკასიის სამთო საქმეთა უფროსათ დანიშნეს.

სათათბიროს პრესის კომისია განაგრძობს კანონპროექტის განხილვას იხილ ვენ მუხლ დრამატიული ნაწარმოების ცენზურის შესახებ

„დენის" ცნობა, ვითომ გროზნაში ტოლსტოის სახელობის სტიპენდია მოესპოთ, ტყუილი გამოდგა.

საშუალო შკოლის რეფორმის შესახებ ითათბირეს და შეიმუშავეს რეფორმის დებულება.

იუსტიციის მინისტრმა სათათბიროს თავჯდომარეს დეპუტატ კერენსკის სამართალში მიცემის პირი გაუგზავნა.

ადგილობრივი სასამართლოს რეფორმას პირველად ათ გუბერნიაში განახორციელებენ. ამ გუბერნიების მომრიგებელ სასამართლოს წარმომადგენელთა კრება 2 დეკემბერს დიდი ამბით გაიხსნა. კრებას იუსტიციის მინისტრი თავჯდომარეობდა. კრებაზე 118 სასამართლოს წარმომადგენელი მოვიდა პირველათ იუსტიციის მინისტრმა სთქვა სიტყვა. მინისტრი ჯერ ადგილობრივ სასამართლოს წარმომადგენელთ მიეგება და შემდეგ სთქვა: მომრიგებელ სასამართლოებში პოლიტიკურ ტენდენციებს ადგილი არ უნდა ქონდესო.

**რომი.** ფლორენციის გალერეიაში, სადაც გამოკიდებულია ჯიოკონდას სურათი, 30 ათასი მნახველი მივიდა.

**რომი.** სოციალისტების პარლამენტარისტთა ჯგუფმა განმარტება გამოაქვეყნა და უარყო ვითომ მათ ობსტრუქციის მოხდენა განეძრახოთ. განმარტებაში აცხადებენ: განზრახვა გვქონდა მთავრობისათვის არჩევნების დროს უკანონობის გამო ანგარიში მოგვეთხოვაო. გვინდოდა ამასთანავე, რომ ფულის უან გარიშოთ ხარჯვისათვისაც ბოლო მოგვეღო.

დეპუტატთა პალატამ დაადგინა ლივიის საქმეთა კანონპროექტი კომისიას გადასცეს.

**ვენა.** აღმოსავლეთის გზებით დაინტერესებულთა წარმომადგენლების კრება დაიწყო. თათბირში საფრანგეთის ფინანსის მინისტრათ ყოფილი დუმრაში ლებულობს მონაწილეობას.

**პრაგა.** ჩეხთა ნაციონალური კავშირის აზრით ავსტრიაში ჩეხთა შკოლები ფინანსების მხრით ცუდ მდგომარეობაშია. კავშირი ამას იმით ხსნის, რომ წელს ბალკანეთის ხალხის სასარგებლოთ ფულის შეგროვების გამო შკოლის სასარგებლოთ შეწირულობა არ ყოფილა.

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** კვირა ღამით სუფრაჟისტმა ქალებმა მუნიციპალიტეტის საბჭოს წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. მუნიციპალიტეტმა კრების გასამართავათ დარბაზის დათმობაზე სუფრაჟისტ ქალებს უარი უთხრა. პოლიციელებმა დემონსტრატ ქალებზე იერიში მიიტანეს. მძიმეთ არავინ დაშავებულა, რამდენიმე ქალი დააპატიმრეს.

**ათენი.** საბერძნეთის მეფემ კანეის ერთ-ერთ ნავსადგურზე აამართა საბერძნეთის დროშა.

**სტამბოლი.** მოვიდა გერმანიის სამხედრო მისია, ბევრი გამოჩენილი პირი მიეგება.

## ჩემი სიმღერა.

მე ოცნებით ცაში არ ვფრენ,
მიწაზე მაქვს მხოლოდ ბინა,
ვშრომობ, ოფლს ვღვრი დღე ῳ ღამე,
ამით მიმყავს საქმე წინა.

ქვეყნის ძლიერთ ვეჯავრები,
მიყურებენ სხვაგვარ გრძნობით,
მაგრამ ვერას დამაკლებენ
ფუქსავატი, ფუჭი ბრძოლით!..

პატიოსან შრომაშია
დაუშრეტი ძალთა ძალი,
შრომაშია აზრი წმინდა
და ბრწყინვალე მომავალი!..

ეს ქვეყანა შრომამ შექმნა,
შრომა მოგვცა სათაყვანოთ;
ჩვენს ხელთ არის ჩვენი ბედი,
ჩვენვე უნდა ავაყვავოთ.

მე ოცნებით ცაში არ ვფრენ,
მიწაზე მაქვს მხოლოდ ბინა,
ვშრომობ, ოფლს ვღვრი დღე ῳ ღამე,
ამით მიმყავს საქმე წინა.

სოსო გარდაძე.

**ვაშინგტონი.** ტამპიკოში სროლა შესწყდა. მეამბოხენი ქალაქიდან გარეკეს.

**სკოპლე.** ალბანეთის საზღვრების შესახებ საერთაშორისო კომისია ვერ შეთანხმდა პრიზრენის მახლობლათ საზღვრის საკითხში კომისიამ მუშაობა მომავალი წლის გაზაფხულამდი შესწყვიტა. რუსეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის დელეგატები სკოპლეში გავლით ბელგრადს წავიდენ.

**პარიზი.** გაზეთი „ტანი" იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთი და ინგლისი რუსეთს სტამბოლში გერმანიის სამხედრო მისიის შესახებ მხარს დაუჭერენ.

**ლონდონი.** დუვროვსა და ლანდოვს შუა სუფრაჟისტი ქალი პანკერსტი დააპატიმრეს.

**რომი.** ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში ლივიის ხარჯების სამათვით გაგძელების შესახებ კანონპროექტი შეიტანა და ითხოვა ფინანსიურ კომისიას გადასცემოდა. მარცხნით ხმაურობა ასტყდა. პროტესტები გაისმა, მოითხოვეს კანონპროექტი ჯერ პალატას განეხილა და შემდეგ კომისიას გადასცემოდა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტომ ოფიციალური წყაროებიდან გაიგო, რომ ინგლისმა დიდ სახელმწიფოებს მიმართა 600 ათასი გირვანქა სტერლინგის სესხათ აღების შესახებ. თითოეულმა სახელმწიფომ ათი ათასი გირვანქა სტერლინგი უნდა აიღოს სესხათ ალბანელთა დასახმარებლათ.

## წერილი მოსკოვიდან.

ჩვენს პატარა წერილს („იმერეთი" 5 ოკტ.), რომელიც ეხებოდა ქართველ სტუდენტთა განხეთქილებას, თამარ მეფის იუბილეში მონაწილეობის გამო, ბ. Woldemar-მა გაზ. „მერცხალში" თავისებურათ გასცა პასუხი, სადაც ისეთი არა ინტელიგენტური სიტყვებით უმასპინძლდება კულტურულ წრესა და თავის მოპირდაპირეებს, რომ სწორეთ მოულოდნელი იყო ამგვარი საქციელი. წრის გამგეობა შესაფერ პასუხს მოსთხოვს თავის წევრს ასეთი პატივისცემისთვის და მე კი იმას მოვახსენებ, ბ. Woldemar-ს, რომ თამარ მეფის იუბილეთი: „ბიზანტიურ კულტს გვირგვინოსნობისას" (ბატ. Wold.) კი არ ვსცემთ თაყვანს, არამედ თამარის პირად მოღვაწეობაში ჩვენ სხვა უფრო დიდმნიშვნელოვან რასმე ვხედავთ, რაც პირდაპირ გვიკარნახებს ამ ჩვენი პოეზიის ამაფრთოვანებელი მუზის დღეობა შესაფერი ღირსებით აღვნიშნოთ. თამარს კარგათ ესმოდა, რომ სიძლიერე ერის—მის ერთობაში იყო, და მიუხედავათ იმისა, რომ ამ ერთობის შექმნას ხელს უშლიდა მრავალი პირობა მაშინდელი ცხოვრებისა, ეს ბრწყინვალე ქალი—მეფე, ძალლონეს არ ზოგავდა ფეოდალურათ დაქსაქსული საქართველოს გაეერთიანებია; აბსოლუტიზმის გამტკიცებით მან შეაერთა დანგრეული სამშობლო და „პირველათ დასთესა თესლი ქართველთა ერთობისა". ეს უკანასკნელი სიტყვები ბ. Woldemar-ს, რომელი „ბიზანტიის გვირგვინოსნობის კულტის" მოტრფიალე „ბერის" გონია.

აი, როგორ ახასიათებს თამარის ღვაწლს ნ. ჟორდანია, რომელიც „მარქსისტული კულტის" მოტრფიალე უფროა, ვიდრე „ბიზანტიური გვირგვინოსნობის კულტის" მაღმერთებელი „ბერი". ის ამბობს (რჩეული ნაწერები, გვ. 20—1): „მხოლოდ იმისთანა მშრომელს, მხნესა და გამჭრიახ მეფეთ, როგორიც იყვენ დ. აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეეერთიანებიათ მთელი ქართველობა, მოშორდენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაშინვე დაირღვა ერთობაო... ღვაწლი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დაუფასებელია საქართველოს წინაშე, პირველათ ამათ დასთესეს თესლი ქართველთა ერთობისა"-ო. ამ დიდებული ღვაწლისთვის ქართველი ხალხი გულიდან ამონახეთქ თქმულებებში დღესაც აღმერთებს და ეტრფის იმ თამარს, რომლის შემწეობითაც ისე ღრმათ ჩაეყარა ფესვი ქართულ ეროვნებას და ვისი ბრძნული მეოხებითაც გაერთიანებულმა ქართველმა ერმა პირველათ იგრძნო თავი ერთს ეროვნულ არსათ. სწორეთ ასეთ მდგომარეობაში მყოფს საქართველოს შეეძლო ამაღლებულიყო იმ სულიერ სიძლიერემდი, რომელიც ასე ბრწყინვალეთ [illegible] ქმნილებაში, ამ „აზრისა და გრძნობის უძირო მორევში". ნ. ბარათაშვილი.

## „ქალთა [illegible]"

გასულ [illegible] ქალთა საზოგადოების მორიგ კრებაზე ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია მე-XVIII საუკუნის ქართველ ქალებზე. მან გაარჩია ორი გმირი გლეხის ქალების ტიპისა: თამრო ვაშლოვანელისა და მაია წყნეთელისა; თემა მეტათ საინტერესო და საგულისხმო იყო. ამ კრებას დაესწრო დიდი საზოგადოება.

ერთს უკანასკნელ სხდომაზე გამგეობამ შეიმუშავა ორი ჯგუფის დაარსება:

1. რადგან ჩვენი ქართველი წიგნსაცავი ძალზე ღარიბია, არ მოიპოება არავითარი წიგნი ქალთა საკითხის შესახებ და მასთან თარგმანიც მლიერ ცოტაა, დაარსდეს საზოგადოებისგან ჯგუფი, რომელსაც შეეძლება ხელმძღვანელობა გაუწიოს ისეთ ქალებს, ვინც იკისრებს თარგმნას სხვადასხვა ენებიდან ქართულზე როგორც ქალთა საკითხის შრომას ისე სხვადასხვა მოთხრობებს, თუ პიესებს.

2. მეორე ჯგუფი უნდა განაგებდეს ყოველივე ქალთა საკითხს სხვადასხვა ქვეყნებისას; უნდა შეიმუშაოს ახალი ამონაწერები ჟურნალ-გაზეთებიდან და მიაწოდოს საზოგადოებას პერასკევ საღამოებზე.

საზოგადოებამ ორივე წინადადება მიიღო სიამოვნებით და ამოირჩია თავის წრიდან რამდენიმე ქალი ორივე ჯგუფის შესადგენათ.

მდივანი ქალთა საზოგადოების გამგეობისა **რ. სიდაგას ქალი.**

## დაბა-სოფლები.

**სოფ. ჭალასთავი.** მიუხედავათ იმისა, რომ ეს სოფელი ისე ახლოს იმყოფება ქუთაისზე, სულ ათ ვერსზე, იგი ყველა კუთხის სოფლებზე გაუნათლებელია.

არავითარი კულტურული და კოოპერატიული დაწესებულება, როგორც ს. ჭალასთავში, ისე სხვა მის მეზობელ სოფლებშიც არ არსებობს. ნაცვლათ ამისა—მაჭანკლობა, მარჩიელობა, კუდიანობა, ბლალობა და ჭინკობა დამახასიათებელი თვისებებია აქაურებისა განსაკუთრებით დედაკაცებისა. ამასთან ერთად ათასგვარი სხვადასხვა ზნეობისა და ჯანმთელობის შემლახველი ჩვეულებაა ამ სოფელში. მოაწევს შაბათ საღამო თუ არა ივსება სოფლის დუქნების დარაბა-დახლები სოფლის ბიჭ-ბუჭებით. არხეინათ შემოუსხდებიან სუფრას და წითელ ნუნუას" ნაშვაღამემდი და ხშირათ გათენებამდისაც კი ქეიფობენ, თან ღრიალობს არღანიც. ეს ერთი წყება.

მეორე წყება სოფლის „გმირებისა"—ბანქოს მოთამაშენია. გაიარეთ შაბათ-კვირას ამ სოფლის გზებში თუ არა, დაინახავთ—სავსეა თავშეყრილი მებანქოეებით. ახლა, არ იკითხავთ, რა თანხის პატრონები არიან ეს ვაჟბატონები? სამწუხაროც ის არის, რომ ისეთები ჩადიან ამას, ვისაც ცოლშვილი და მშობლები ხშირათ უსმელ-უჭმელნი აღამებენ დღეებს და სიცივისაგან იხოცებიან.

როგორც ჭალასთავი, ისე მის გარშემო მდებარე სოფლები ყველა მეტის-მეტ მწირე ნიადაგისაა. აქ არც ვენახი ვარგობს და არც სიმინდი მოდის საყოფათ. ეს სამი-ოთხი წელია მაინც, რომ სოფელი მოუსავლობით ნახევრათ განადგურებულია და წელს ხომ მთლათ შიმშილი მოელის აქაურებს. ერთადერთი საშუალება, რომელიც ჯერ კიდევ მთლათ არ გამქრალა აქაური გლეხებისათვის, არის შემდეგი:

ამ სოფლებს ახლოს აკრავს მოსეშვილის ტყე, რომელიც რამდენსამე ათს დესეტინას შეიცავს. და აი, ამ ტყეს ნაჭრა-ნაჭრა ყიდულობენ, ან იჯარით იღებენ სოფლელები, მერე, სჭრიან და მოაქვთ ურმებით ქუთაისის ბაზარზე, ყიდიან, ორიოდე აბაზის მოგებით და აი— ამ სიმწრით ნაშოვნი ფულებით შაბათ საღამოდან დაწყებული ვიდრე ორშაბათ დილამდი ან სმენ ღვინოს, ქეიფობენ, ან ბანქოობენ სოფლის გზის-პირებში. ამას ხშირათ მოყვება ერთი ალიაქოთი, აყალმაყალი, და ხშირათ უშვერი სიტყვებითა და თავ-პირის მტვრევით უმასპინძლდებიან ერთმანეთს. ერთადერთი კულტურული დაწესებულება, რომელსაც ორი წელია, რაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენში— პირველდაწყებითი სამრევლო შკოლა გახლავთ. იგი გაიხსნა ადგილობრივი მცხოვრების, ბ. მიხეილ წერეთლის პატიოსანი

ბის მიმართულება. საზოგადოებრივი სასოწარკვეთის, უდროო სიბერის, სულიერი ავათმყოფობის, დაღლილობის, ფიზიკურისა და ზნეობრივი დაცემის ადგილს მხნეობა, კეთილშობილური ამაღლება და მუშაობა, უკეთესი მომავლისთვის გატაცებული ბრძოლა და მხურვალე მოქმედება იჭერს. დროებითი ჩამოქვეითებასა და დაცემას შემდეგ დგება გმირული მოქმედებისა და ბრწყინვალე გამარჯვების დღეები და მაშინ კაცობრიობა მხიარულობს და დღესასწაულობს თავის სიძლიერეს და მისი შემწეობით „აღთქმულ ქვეყნისკენ" მიმავალ გზაზე მდებარე ზღუდეთა განადგურებას..

ცხოვრების სუბიექტური ღირებულობის საწინააღმდეგო ცნება არის მისი ობიექტური ღირებულობა, ე. ი. ის ღირებულობა, რომელსაც ამყარებს არა თვითან ესა თუ ის ადამიანი, არამედ სხვები...

მაშინ, როდესაც ობიექტური ღირებულობა ლერმონტოვის სიცოცხლისა დიდია (ჩვენ მის პიროვნებას ვაფასებთ არა ნაკლებ მისივე თხუზულებებისა), სუბიექტური ღირებულობა ძალიან დაწეული, თითქმის ნულამდი არის დაყვანილი, ვინაიდან ბევრი სრულიად სამართლიანათ, მის ტრაგიულ დუელს მარტინოვთან უბრალო თვითმკვლელობას ადარებს...

უკანასკნელი ელემენტი ადამიანის სიცოცხლის ღირებულობისა არის ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულობა. როგორც სუბიექტური ღირებულობა შეფარდებულია ინდივიდუალურ ინსტინკტთან, ისე ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულობა მჭიდროთ არის დაკავშირებული კოლექტიურის ანუ ფარის, ჯოგის გრძნობებთან.

არა კმარა ადამიანმა იგრძნოს სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობა, ე. ი., ის მოქმედებისკენ ილტოდეს; მან თავისი ინდივიდუალური „მე" უნდა შეუკავშიროს ირგვლივ მყოფს ქვეყნიერებას, საზოგადოებრივ მუშაობას; იგი უნდა ეზიაროს სხვებთან ერთად...

ადამიანი, შიძლება, დიადი, გენიოსი იყოს, მაგრამ სანამ ის თავს განმარტოებულათ გრძნობს, სანამ ტყვეობას განიცდის თვისი სულის განცალკევებულ სფეროში, მანამ მისი საზოგადოებრივი ღირებულობა ნულს უდრის...

ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულობა თხოულობს, რომ ის ჩრდილში არ დაიალოს, მარტო საკუთარ თავზე ფიქრმა არ გაიტაცოს, მოძმეთ მხარი დაუჭიროს და თავისი პატარა ცეცხლით მათ გზა გაუნათოს...

დიდი იყო ცეცხლი, რომელიც სპინოზას სულში ღვივოდა, მაგრამ მის ბრწყინვალე შუქს ადამიანამდი არ მიუწევია, ვინაიდან ის განმარტოებული—ებრაელებს ჩამოშორებული და ქრისტიანეთა მიერ უარყოფილი იყო... ამიტომ, მისი სიცოცხლის სუბიექტური ღირებულობა თუმცა დიდი იყო, მაგრამ საზოგადოებრივი ღირებულობა საკვირლვათ მცირე.

ადამიანთა ლტოლვა საზოგადოებრივობისკენ ინსტინქტის ისეთივე ნაყოფია, როგორც სიცოცხლის წყურვილი.

მთელი ბრძოლა არსებობისთვის უმთავრესათ საზოგადოებრივ მდგომარეობისთვის ბრძოლას წარმოადგენს. მოსპეთ ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულობა და ის დაკარგავს თავმოყვარეობას, ალტრუიზმს, სიბრალულს, სოციალურ გრძნობიერობას; ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება საქმე სოციალურ ინსტინქტთა ატროფიით დასახიჩრებულ ადამიანთან.

ასეთები კი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის გამოუსადეგრათ და ზედმეტ ელემენტებათ უნდა ჩაითვალოს.

თუ ასეთი წევრები საზოგადოებაში ბლომათ მოიძებნება, მაშინ საზოგადოებრივობის მექანიზმი მოშლილია და მისი საქმე დაღუპული. ამ შემთხვევაში საზოგადოების მაგიერ ჩვენ მივიღებთ მკვდარსა და უსულო ადამიანთა გროვას...

სამწუხაროთ, თანამედროვე კონკურენციის ეპოქა ეგოისტურ გრძნობებს ავითარებს და იწვევს სოციალურ ინსტინქტთა ატროფიას. ახლა გაჩნდენ უკიდურესი ინდივიდუალისტები, რომელთაც სასაცილოთ არ ყოფნისთ საზოგადოებრივ მოვალეობაზე ლაპარაკი, რომელნიც უშნო ხარხარით ან წყევლა-კრულვით იხსენიებენ საზოგადოებისთვის მოღვაწეობას და სამსახურს... ეს, რასაკვირველია, იწვევს ადამიანის საზოგადოებრივ ღირებულობისა და საერთოდ სიცოცხლის ფასის დაცემას..

მაგრამ სასიხარულოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოვლენა დროებითია... ინდივიდუალიზმის გამხრწნელ გავლენას მალე ბოლო მოეღება. ახლაც ვამჩნევთ, რომ ადამიანი ყოველ ღონეს ხმარობს თავისი საზოგადოებრივი ღირებულობის განსახორციელებლათ.

ახლანდელი ეგოიზმიც კი გადამახინჯებული და ნიღაბჩამოფარებული წყურვილია საზოგადოებრივობისა.. და ის მძიმე მარტოობა, რომელსაც ადამიანი ყველგან ხვდება, გარკვეულათ უკარნახებს მას უფრო ბეჯითად იზრუნოს ცხოვრების გარდასაქმნელათ და მის უკუღმართ პირობათა მოსასპობათ.

ცხოვრება ისე უნდა გადაიქმნეს, რომ ყოველ ადამიანს თავისი ადგილი ექნეს მიჩნეული ქვეყნიერებაზე, რომ ყველას სამუშაო ქონდეს და მუშაობა იყოს სასარგებლო და საჭირო.

მაშინ აღარ იქნებიან უნაყოფო, უძლლონო ელემენტები სასოწარკვეთილნი; მაშინ მოისპობიან „ახალგაზდა მოხუცებულნი" და მშვენიერი ცხოვრების მაწინჯი მესამარენი... მაშინ მოხდება სიცოცხლის სუბიექტური და ადამიანის საზოგადოებრივი ღირებულობის შეერთება და მასთან ერთად აიწევს სიცოცხლის ობიექტური ღირებულობა.

ამ შეერთებაში გამოიხატება ერთადერთი შესაძლებელი ფორმულა ადამიანთა ბედნიერებისა. გ. ჯგუბაძე.

საპაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ძმ—ბის**
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
**ხ. ხრისტოდულიდის** (ბომბიკს წინათ ეძახდნენ წერეთლის)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობამდე დაიჭერს თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საპაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი ექვთამეს ძე ნუცუბიძე,** რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმუკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოეწყობა ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


შრომით, რომელიც დღეს ამავე შკოლაში მასწავლებლობს. არ შემიძლია დავფარო, რომ ეს შკოლა, რომელიც დღესდღეობით 60-ზე მეტ ბავშს დაიტევს, ძლიან სუსტ ნიადაგზეა დამყარებული და ახალი, მუნჯური მეთოდის წყალობით გადაგვარების გზასაც ადგება.

შკოლაში შეხვალთ და გადახედავთ კედელზე აკრულს გაკვეთილების ნუსხას თუ არა—პირველ ადგილებზე, ყველა განყოფილებაში თქვენ თვალში გეჩხირებათ სულ „რუსკი იაზიკ" და „ზაკონ ბოჟი", ხოლო უკანასკნელებზე საწყალი „გრუზინსკიცაა" მოხსენებული.

**მიშა ტყავაძე.**

## ნ ა რ ე ვ ი.

**ედისონი და მისი მეუღლე.** ცნობილი გამომგონებელი ედისონი მთელ ქვეყნიერებაზე მხოლოდ თავის ცოლს ემორჩილებოდა. ამ ცნობას მის მახლობლათ მცხოვრებნიც ადასტურებენ. ედისონის მეუღლის აზრით, მისი ქმარი 66 წლის მოხუცებული, კერძო ცხოვრებაში წმინდა ბავში იყო. ედისონი თავის ლაბორატორიაში განუწყვეტლივ ათ საათობით მუშაობდა და თუ მისი მეუღლის შესვლა არა, ისე ის რამდენსამე დღესაც დაყოფდა მუშაობაში. სასეირნოთ დადიოდა მხოლოდ ავტომობილით და ისიც მაშინ, როდესაც თვისი მეუღლე მუშაობას თავს დაანებიებდა. სამუშევრათ განსაზღვრული დრო არ ქონდა დანიშნული. როდესაც მოესურვებოდა, მაშინ ადგებოდა, სჭამდა, დაიძინებდა. მისი ერთად-ერთს აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა ძილი. მძიმე გონებრივ მუშაობას შემდეგ, როგორც თამაშისაგან დაღლილი ბავში, ისე იძინებდა.

**მეძებარა კაცი.** პარიზის ქუჩებზე რამდენიმე დღის განმავლობაში ერთი ორიგინალურ შემთხვევას ქონდა ადგილი. შებინდებისას გამოდიოდა ქუჩაში კარგათ ჩაცმული კაცი, ჩერდებოდა სახლების წინ და გაიბამდა ყეფას. პასუხათ თუ ძაღლის ყეფას გაიგონებდა უცნობი პირი იწერდა იმ სახლის ნუმერს და სხვაგან მიდიოდა. უკანასკნელათ გამოირკვა, რომ მყეფარა კაცი პოლიციის აგენტი ყოფილა. აგენტმა გამოარკვია თუ ვის ყავდა ძაღლი და ვინ არ იხდიდა ძაღლზე დადებულ გადასახადს.

**პრეზიდენტის ვილსონის კატა.** ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს ყავს საყვარელი შავი კატა „ტომი". ეს კატა მან თავის ქალიშვილს მზითვათ გაატანა, მაგრამ „ტომს" არ უნდოდა არც მოხუც პატრონს მოშორებოდა, არც ახალგაზდა ქალბატონისთვის მიეყენებია წყენა, და ამიტომ წავიდა, სადაც გამოძებნა პატარა კნუტი, კბილებით ქალბატონთან მიათრია და კალთაში ჩაუსვა: ქალბატონი ამ ამბავმა ფრიად გაახარა: „ტომმა" გამომშვიდობების ნიშნათ კუდი გააქიცინა, ახალგაზდა ქალბატონს მოეფარა და კვლავ მოხუცი ბატონისკენ გაქუსლა. ვილსონს ძლიან გაუხარდა საყვარელი „ტომის" დაბრუნება, რომელსაც მიჩვეული იყო.

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით მომცეთ შეძლება თავი დავიხსნა სხვადასხვა გავრცელებული საეჭვო ხმისაგან.

როგორც მოგეხსენებათ, ყველა სამზრო საარჩევნო კრების წევრები დაამტკიცეს, გარდა ჩემი მაზრისა; ამ ცნობამ საზოგადოებაში დაბადა სხვადასხვა აზრი: ვითომც მე არ დამამტკიცეს მარშლათ, როგორც მომრიგებელი შუამავალი, ანუ როგორც რაიმე დანაშაულობის ჩამდენი.

შესაძლებელი იყო ერთიცა და მეორეც. ადამიანი უცოდველი არასდროს არ ყოფილა და გამონაკლისი მე რათ ვიქნებოდი. ამისთვის იძულებული ვარ ჩემი დანაშაულიც გამოვაქვეყნო: მართალია, მოხუცებულობის ჟამს უბედურობა—მეწვია: თორმეტი კაცი შემომაკვდა, ოცდაოთხი გავცარცვე...

ახლა ისიც ვსთქვათ: უმეტეს-უკმაყოფილო გლეხის მეტი კაცთა შორის არავინ მოიპოვება. ეგ იქნება იყოს ისეთი პიროვნებაც; ასეთი უკუღმართად გავრცელებული ხმა სასიამოვნოთ დარჩა:, მაგრამ სამაგიეროთ ახლა უნდა ვაწყენიო.

აი, მეფის მოადგილის აზრი ჩემი არჩევის შესახებ: „თქვენს არჩევანში კანონის დამარღვეველი შეცთომა აღმოჩნდა: ე. ი. თქვენს თანაშემწეს თ-დს დადეშქელიანს ორს თანამდებობაზე უყრია კენჭი: ერთი თვით მარშლობაზე და მეორეც თანაშემწეობაზე, მოახდენთ თუ არა ხელახალ არჩევანს წარმოდგენისათანავე ჩემ მიერ, სიამოვნებით იქნებით დამტკიცებულიო."

შეცთომა ჩვეულებრივია; რა დიდ მოსაზრებას მოითხოვდა ამის მიხვედრა, რომ მართოთ-მარტო მე ყოფილვიყო მიზეზი დაუმტკიცებლობისა და არა ფორმალური მხარე არჩევანის წესისა. რას ემართლებოდენ სხვა არჩეულ პირთ მთელი მაზრისას და თუნდაც ასეც ყოფილიყოს—ჩემში რამ ეპოვათ, ამით ვის რა ბურთი და მოედანი დარჩებოდა? ერთსა და ერთს ხო მაინც ვერავინ წამართმევდა და იმითაც, მე რაც ვარ, მაინც ის უშიში, ეჭვს გარეშე მდგომი ვარ და ვიქნებოდი, ვიდრე სული მედგმის. ასე რომ მოძღვრის წინაშეც, გარდა ერთი რამ ბრალდებისა, არ შევკრთებოდი; ახლა იმ ერთისაგანაც უზრუნველყოფილი ლეჩხუმის წინამძღოლი

**თავადი იასონ გელოვანი.**

ქ. შ. წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილების ახალ წევრებათ ჩაეწერენ შემდეგი პირნი:

1. მარიამ იაკობის ასული გოკიელისა, 2. ზაქარია პეტრეს ძე კოკოჩაშვილი, 3. მიხეილ იოსების ძე გოკიელი, 4. ეკატერინე იაკობის ასული ბუდაგოვსკისა, 5. მამა დონ-დომიანე საბაშვილი, 6 იაკობ ანტონის ძე მირაქოვი, 7. ზ. ევსევი ნიკოლაძე და 8. ზ. ტარასი მამალაძე.

**ბ. რედაქტორო!**

საჩხერის აკაკის სახელობის უფასო სამკითხველოს გამგეობა, უმორჩილესათ გთხოვთ მისცეთ ნება, რათა პატივცემული თქვენი გაზეთის საშვალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოს ქ. ეფროსინე მხეიძის ასულს წულუკიძისას, რომელმაც აღნიშნულ სამკითხველოს ერთი თუმანი შემოსწირა.

ამხანაგების მონდობილებით,

**ბიქტორ იურგვაძე.**

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.


ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
**ნ. ასათიანისა და ი. კვერღელიძის.**
ქ. ქუთაისი ალექსანდრეს ქ. სახლი თევდორაძისა.
ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს ½ წლის ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

**საცვლების მკერავი ქალი**
სალომე უვლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.
ბაღახვანის ქ. სახლი გრიგოლიანი № 64.

**ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი-ბ ა ბ"**
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

**ვ. ვორდანიძისა და ს. წერეთლის**
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაე-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОВ"
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპლიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგრის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები,ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

**КУРСЫ** кройки и шитья для дамъ и дѣвицъ. | **ПРІЕМЪ** заказовъ на элегантные дамскіе наряды
**M-me МАРИ**
На-сколко важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомь и 2) заработывать вдвойнѣ— путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахь Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.
Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключитеьно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это— нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно —изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.
*Адресъ:* Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**

სამკურნალო **აბანო** მეირფასი მთის აერზე მმ. ყორყოლაძეების
ტრესილი. — ჩვენი თვალით ახლოთ დაარწმუნდებით.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**ა. ი. კოსტავას ევროპიულ მაღაზიაში**
(თფილისის ქუჩა, ქალაქის ათვიანქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
**დანიშნულია დიდი იაფი ვაჭრობა.**
ფასები ძლიერ დაკლებულია.
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფ ა ს ე ბ ი უ ვ ა ჭ რ ო თ.


ელექტრო-საბეჭდავი ფირმისა და კარნაუხოვის ქუთაისში.